საქართველოს მთავრობის

დადგენილება №25

2017 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №69 დადგენილება.

2. „კრედიტქულების დაგროვების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №70 დადგენილება.

3. „მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით კრედიტქულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №71 დადგენილება.

4. „მასწავლებლის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №72 დადგენილება.

5. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზებისა და საშუალებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №73 დადგენილება.

6. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №74 დადგენილება.

7. „მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №75 დადგენილება.

8. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №76 დადგენილება.

9. „კრედიტქულების შეწონვის წესის, კრედიტქულების განაწილების პრინციპების და კრედიტქულების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №77 დადგენილება.

10. „სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №5 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**